# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№424 2017 წლის 6 მარტი ქ. თბილისი

## შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების შესახებ

1. „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „საქართველოს მინისტრებისა და სახელმწიფო მინისტრების მიერ მათდამი დაქვემდებარებული სამინისტროების აპარატების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხებისა და თანამდებობრივი სარგოების საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების წესი" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის №621 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, მიეცეს თანხმობა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს, რომ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები განსაზღვროს ამ განკარგულების №1 დანართის შესაბამისად.

№ 1/553
07 03 17
4

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის №12 განკარგულება.

3. განკარგულება ძალაშია 2017 წლის 1 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

დანართი N1

ინფორმაცია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2017 წლის საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შესახებ

| N | შტატით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელება | რიცხოვნობა | თანამდებობრივი სარგო თვეში ერთ ერთეულზე | სულ თანამდებობრივი სარგო თვეში | სულ თანამდებობრივი სარგო წელიწადში | სულ წოდებრივი სარგო, კომპენსაცია, ჰონორარი, წელიწადში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | სულ წლიური შრომის ანაზღაურება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | 31 | | 46,940 | 563,280 | 0 | 700,000 |
| 1 | სახელმწიფო მინისტრი | 1 | 3,540 | 3,540 | 42,480 | 0 | |
| 2 | მინისტრის პირველი მოადგილე | 1 | 2,950 | 2,950 | 35,400 | 0 | |
| 3 | საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი | 1 | 2,000 | 2,000 | 24,000 | 0 | |
| 4 | სახელმწიფო მინისტრის აღმასრულებელი თანაშემწე | 1 | 1,800 | 1,800 | 21,600 | 0 | |
| 5 | სახელმწიფო მინისტრის თანაშემწე | 1 | 1,200 | 1,200 | 14,400 | 0 | |
| 6 | სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის თანაშემწე | 1 | 1000 | 1,000 | 12,000 | 0 | |
| 7 | დეპარტამენტის უფროსი | 3 | 2,100 | 6,300 | 75,600 | 0 | |
| 8 | დეპარტამენტის უფროსის მოადგილე | 2 | 1,550 | 3,100 | 37,200 | 0 | |
| 9 | სამმართველოს უფროსი | 2 | 1,500 | 3,000 | 36,000 | 0 | |
| 10 | მთავარი ბუღალტერი | 1 | 1,500 | 1,500 | 18,000 | 0 | |
| 11 | საინფორმაციო ტექნოლოგიების ადმინისტრატორი | 1 | 1,500 | 1,500 | 18,000 | 0 | |
| 12 | საქმეთა | 1 | 1,500 | 1,500 | 18,600 | 0 | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მმართველი | | | | | | |
| 13 | სახელმწიფო შესყიდვების მენეჯერი | 1 | 1,250 | 1,250 | 15,000 | 0 | |
| 14 | იურისტი | 1 | 1,100 | 1,100 | 13,200 | 0 | |
| 15 | მთავარი მრჩეველი | 9 | 1,200 | 10,800 | 129,600 | 0 | |
| 16 | მრჩეველი | 2 | 2,000 | 1,000 | 24,000 | 0 | |
| 17 | სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელი ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონში | 2 | 1,200 | 2,400 | 28,800 | 0 | |